სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ო ქ მ ი # 11

ქ. ონი 16.11. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ბერელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის განხილვა.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

2.ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" სხდომის ოქმის განხილვა, ფრაქციის შემადგენლობიდან გიორგი მარკოიშვილის გასვლის შესახებ.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

3.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კვოტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

4.გიორგი მარკოიშვილის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, და ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის განხილვა.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ამ ეტაპზე შენიშვნები 2022 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით არ გამოთქმულა.

მოისმინეს: 2. ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" სხდომის ოქმის განხილვა, ფრაქციის შემადგენლობიდან გიორგი მარკოიშვილის გასვლის შესახებ.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

ვლ. ბერელიძემ კომისიის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომის ოქმი, ფრაქციის შემადგენლობიდან გიორგი მარკოიშვილის გასვლის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ საკითხი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

გადაწყდა: აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს საკრებულოს ბიუროს შემდგომი რეაგირებისათვის.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კვოტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია- ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კვოტების განსაზღვრის შესახებ.

კომისიამ მოამზადა ბრძანების პროექტი- ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კვოტების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: 4. გიორგი მარკოიშვილის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, და ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის სხდომას გააცნო გიორგი მარკოიშვილის განცხადება სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, და ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ საკითხი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს საკრებულოს ბიუროს შემდგომი რეაგირებისათვის.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვლადიმერ ბერელიძე

კომისიის თავმჯდომარე